ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4462745

ნომერი: AR1675125

თარიღი : 15.04.2019

გაცემის თარიღი : 16.04.2019

გაცნობის თარიღი : 16.04.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 74;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე სარალიძე პ/ნ 01008017542
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 66 ბ. 45

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ლუკაM
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400007256
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჰასან თაჰსინ ჯენევიზ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01092000919

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4390271
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 3.06.2020

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 15 აპრილის N AR1675125 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ არასწორად არის არჩეული ნომენკლატურა, კერძოდ ახალი მშენებლობის ნაცვლად საკითხი უნდა დააყენოთ შეთანხმებული კორექტირებული პროექტით მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.
ამისათვის საჭიროა ახალი განცხადება საჭირო დოკუმენტაციის თანდართვით ატვირთოთ, სამსახურის ვებ გვერდზე, http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში, კერძოდ, ,,შეთანხმებული პროექტის ცვლილება, მშენებლობის ნებართვის გაცემა“.

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმართ დგინდება შემდეგი ხარვეზები:

1. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 15.02.2019წ N4-3/27-გ/19 ბრძანებით სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე განხილვის ვადის გაგრძელდა 2019 წლის 15 აპრილის ჩათვლით. წარმოსადგენია საბოლოო დადგენილება და არსებობის შემთხვევაში ჯარიმის გადახდის ქვითარი.

2. საჭიროა წარმოდგენილი იქნას იპოთეკარის თანხმობა (საჭიროების შემთხვევაში ხელმომწერი პირის მინდობილობაც).

3. საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: წარმოსადგენია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების ამსახველი ფოტომასალა.

ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ)შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში. კერძოდ აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხი) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 (ხუთი) ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ამ ეტაპზე სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.